

ზაზა მჭედლიშვილი
გრიგოლ რობაქიძის სახელობის
უნივერსიტეტის დოქტორანტი,
ადვოკატი

DOI: <https://doi.org/10.52340/zssulaw.2023.01.10>

ძირითადი პრინციპების ადგილი და როლი საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალში (შედარებით-სამართლებრივი ანალიზი)

აბსტრაქტი

სამართლის მეცნიერება პერმანენტულ გამოცდასა და გაუმჯობესებას განიცდის. იურიდიულ დოქტრინაში დისპოზიციურობა შეჯიბრებითობა და მხარეთა თანასწორობა უნივერსალურ პრინციპებად გვევლინება. ისინი განსაზღვრავენ საპროცესო სისტემის სამართლებრივი რეგულირების საფუძვლებს, რომლებიც ვრცელდება სასამართლო პროცესის ყველა ფორმაზე, მათ შორის საკონსტიტუციო, სამოქალაქო, ადმინისტრაციულ, სისხლის სამართლის, და საარბიტრაჟო საქმეებზე. უზრუნველყოფს სასამართლოს დამოუკიდებლობას და მიუკერძოებლობას. სახელმწიფოში ობიექტურობა და თანასწორობა პირდაპირ დამოკიდებულია ამ პრინციპის განხორციელებაზე. მათი შემდგომი საკანონმდებლო დონეზე გატარება საშუალებას მოგვცემს მოვახდინოთ მათი კონსოლიდირება ცალკეულ სამართლებრივ ურთიერთობებთან. ამ საკვალიფიკაციო ნაშრომის მიზანია მხარეთა შეჯიბრებითობის და თანასწორობის უფლებების პრინციპის კონცეპტუალური საფუძვლების შესწავლა. კერძოდ, სამოქალაქო სამართალწარმოებაში მისი განხორციელების თავისებურებების ანალიზი. ზოგადი შედეგის და ასევე სიღრმისეული დასკვნისათვის საჭიროა მხარეთა შეჯიბრებითობის და თანასწორობის პრინციპის კონცეფციის ანალიზი, მათი ბუნების დადგენა; სამოქალაქო სამართალწარმოებაში მხარეების ამ პრინციპის ფუნქციური მახასიათებლების გაშუქება, როგორც სამოქალაქო სამართალწარმოების ამოცანების გადაწყვეტის საპროცესო მექანიზმი. სასამართლოს როლი ამ ფუძემდებლური პრინციპების გატარებაში უდაოდ დიდია. ამ თვალსაზრისით, შესაძლებელია სასამართლოს საქმიანობის ხარისხის დადგენა სამოქალაქო წარმოებაში. ასევე სამოქალაქო პროცესში მხარეთა შეჯიბრებითობის და თანასწორობის პრინციპის კონსოლიდაციისა და განხორციელების ფორმების გამოვლენა. სამოქალაქო საპროცესო კოდექსი აგებულია დისპოზიციურობისა და შეჯიბრებითობის პრინციპების სრული გათვალისწინებით და შეიცავს ისეთ ნორმებსაც, რომლებიც ადრე მოქმედ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის

ნორმებთან შედარებით, განსხვავებულად აწესრიგებს ამა თუ იმ საპროცესო მოქმედებას, სამოქალაქო საქმის განხილვასთან დაკავშირებით წამოჭრილ საპროცესო ურთიერთობებს.

შესავალი

საბჭოური სამართლის სისტემის დაშლამ და თავისუფალ საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლამ, განსაკუთრებულად შეუწყო ხელი კერძო-სამართლებრივი ურთიერთობების ჩამოყალიბებას. ამის გამოხატულებას წარმოადგენს სამოქალაქო საპროცესო და მატერიალური სამართლის კოდექსების მიღება. სამოქალაქო საპროცესო კოდექსი აგებულია დისპოზიციურობისა და შეჯიბრებითობის პრინციპების სრული გათვალისწინებით და შეიცავს ისეთ ნორმებსაც, რომლებიც ადრე მოქმედ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის ნორმებთან შედარებით, განსხვავებულად აწესრიგებს ამა თუ იმ საპროცესო მოქმედებას, სამოქალაქო საქმის განხილვასთან დაკავშირებით წამოჭრილ საპროცესო ურთიერთობებს.¹

1. სამოქალაქო მართლმსაჯულების განხორციელების პრინციპები 1964 წლის სსრ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მიხედვით

1964 წლის სამოქალაქო საპროცესო კოდექსი აგებული იყო სამძებრო პრინციპებზე. დისპოზიციურობისა და შეჯიბრებითობის პრინციპები დეკლარირებული იყო ამ კოდექსით, მაგრამ ისინი პარალიზებული იყო ობიექტური ჭეშმარიტების პრინციპებით. გარდა ამისა სასამართლოს ევალუბოდა მიეღო კანონით გათვალისწინებული ყველა ზომა, რათა ყოველმხრივ, სრულად და ობიექტურად გამოერკვია საქმის ნამდვილი გარემოებანი და მხარეთა უფლება-მოვალეობანი.² პრინციპები, როგორც დამხმარე სტრუქტურა, მთელი სამართლებრივი სისტემის ბირთვია. ისინი ქმნიან კანონმდებლობის ერთგვარ სახელმძღვანელოს, რომელიც გავლენას ახდენენ ნორმატიული აქტების მომზადებისა და გამოცემის მთელ პროცესზე. ამიტომაც სამოქალაქო საპროცესო სამართლის ყველა პრინციპი არის სამართლიანობისათვის მნიშვნელოვანი, დემოკრატიულობისა და სიმყარის გარანტი სამოქალაქო საკითხებში. სამოქალაქო საქმეების განხილვისა და გადაწყვეტისას, სასამართლო ეყრდნობა არა მხოლოდ კონკრეტულ სამოქალაქო საპროცესო წესებს, არამედ საპროცესო სამართლის პრინციპებს. სამოქალაქო საპროცესო სამართლის ყველა ნორმის ინტერპრეტაცია ხორციელდება იურიდიული პრინციპების გათვალისწინებით, რაც სასამართლოს შესაძლებლობას აძლევს იცოდეს ამ წესების ჭეშმარიტი მნიშვნელობა რაც საბოლოო ჯამში ხელს უწყობს სასამართლოს კანონიერი და გონივრული გადაწყვეტილების მიღებას.³ პროცესის პრინციპები განმტკიცებულია სამართლებრივი ნორმით, რაც იმას ნიშნავს, რომ ამ

¹ ლილუაშვილი თ., ხრუსტალი ვ., 2007, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარი, გვ. 7.

² ზოფერია ნ., 1999, შეჯიბრებითობის პრინციპი სამოქალაქო საპროცესო სამართალში, გვ.18-19.

³ Landsman S., A Brief Survey of the Development of the Adversary System, Ohio State Law Journal, Vol. 44, 1983, 713.

პრინციპებით უნდა იხელმძღვანელოს სასამართლო სამოქალაქო საქმეთა განხილვისა და გადაწყვეტის დროს. კონკრეტულ სამოქალაქო საქმეთა განხილვისა და გადაწყვეტის დროს პროცესის პრინციპების უგულვებელყოფა ან დარღვევა ან გადაწყვეტილების გამოტანა იმ მოსამართლის მიერ, რომელიც არ მონაწილეობდა საქმის განხილვაში, მიჩნეულ უნდა იქნეს, როგორც სამოქალაქო საპროცესო პრინციპების არსებით დარღვევად, რომელიც იწვევს სასამართლო გადაწყვეტილების გაუქმებას.⁴

სამართლის პრინციპი წარმოადგენს იდეას, რომელიც ასახავს საზოგადოების წარმოდგენას რაღაც იდეალზე, რომლის თანახმადაც უნდა განხორციელდეს სამართლებრივი რეგულირება. ყოველი სამართლის პრინციპის არსს წარმოადგენს სოციალური ღირებულება, რომელსაც სამართლებრივი საშუალებებით გაფრთხილება და დაცვა სჭირდება. სამოქალაქო სამართლის პრინციპები დაჯგუფებულია მათი როლისა და დანიშნულების მიხედვით მართლმსაჯულების განხორციელებაში. სამოქალაქო საპროცესო სამართლის მეცნიერებაში იყენებენ სხვადასხვა ცნებას, განსაზღვრებას, კატეგორიას, რომლებიც შემუშავებულია ხანგრძლივი პერიოდის (დროის) განმავლობაში სამოქალაქო საპროცესო სამართლის თეორიაში. ასეთ სამართლებრივ კატეგორიებს მიეკუთვნება სამოქალაქო საპროცესო სამართლის პრინციპები. სიტყვა „პრინციპი“ წარმოდგება ლათინურიდან და სხვადასხვა მნიშვნელობა აქვს. კერძოდ, ნიშნავს „საფუძველს“, „საწყისს“, ზოგად დებულებას, განყენებულ ცნებას, რომელიმე თეორიის, მოძღვრების, მეცნიერების ძირითადად ამოსავალ (სახელმძღვანელო) დებულებას, სახელმძღვანელო იდეას. პროფესორ ავდიუკოვის მოსაზრებით სამოქალაქო სამართლებრივი პრინციპები, ყოველთვის სამართლის კონკრეტულ ნორმებში უნდა იქნეს განმტკიცებული, ან იგი განზოგადებული (აბსტრაქტირებული) უნდა იქნეს მოქმედი სამართლის ნორმებიდან.⁵

2. დისპოზიციურობის პრინციპი

დისპოზიციურობის პრინციპი სამოქალაქო პროცესში, რომელიც სამოქალაქო მატერიალური სამართლის ერთ-ერთი ფუნდამენტური პრინციპის - ნების ავტონომიის ანარეკლია, ნიშნავს მხარეთა თავისუფლებას განკარგოს თავისი არამართო მატერიალური, არამედ საპროცესო უფლებები. დისპოზიციურობის პრინციპზეა აგებული მთელი სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა.⁶ ფრანგი ადმინისტრატივისტი გუი ბრებანი აღნიშნავს წერილობითი საქმისწარმოების პრინციპთან დაკავშირებით, რომელშიც იგულისხმება საქმის განხილვა მხოლოდ განცხადებასა თუ სარჩელში აღნიშნული გარემოებების გამო, მხოლოდ იმ დოკუმენტებითა და მოთხოვნების გარშემო, რომელიც საქმეშია წერილობით წარმოდგენილი, აქედან გამომდინარე, სასამართლოს ამ პრინციპის თანახმად, არ შეუძლია დამატებითი

⁴ Семенов В.М.,1982, Конституционные принципы гражданского судопроизводства, стр.110.

⁵ ქურდაძე შ. ხუნაშვილი ნ., 2015, სამოქალაქო საპროცესო სამართალი, გვ. 89-91.

⁶ კაჭაშვილი გ., 2018, საპროცესო უზრუნველყოფა, როგორც აღსრულებადი გადაწყვეტილების მიღების წინაპირობა, გვ. 20.

გამოძიება ჩაატაროს და გადაწყვიტოს მმართველობის საკითხები, ან საქმის სხვა მხარეები, რომლებიც წარმოდგენილი დოკუმენტებიდან არ გამომდინარეობს.⁷

3. დისპოზიცია გერმანული სამოქალაქო საპროცესო სამართლის მიხედვით

გერმანულ სამოქალაქო საპროცესო სამართალში დისპოზიციურობის პრინციპი წარმოადგენს ერთ-ერთ უმთავრეს სამართლებრივ პრინციპს, რომელიც ასახულია მრავალ საკანონმდებლო რეგულაციაში. ქართულ სამოქალაქო საპროცესო სამართლის მსგავსად, დისპოზიციურობის პრინციპი გერმანულ სამართალშიც შეუზღუდავად მოქმედებს. წარმოების დაწყებისას და დავის საგნის განსაზღვრისას. სამართალწარმოების პროცესის ფორმირება გერმანულ სამოქალაქო საპროცესო სამართალში, როგორც წესი, მოსამართლის ძირითადი მოვალეობაა.⁸ გერმანულ სამოქალაქო საპროცესო კოდექსში დისპოზიციურობის პრინციპზე ვრცელდება გარკვეული შეზღუდვები, რაც მომდინარეობს, ნაწილობრივ, საკანონმდებლო დებულებებიდან და, ნაწილობრივ, სასამართლო პრაქტიკიდან.⁹

4. დისპოზიციურობის პრინციპი მოქმედებაში

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში დისპოზიციურობის პრინციპი ვლინდება შემდეგ ინსტრუმენტებში:

ა) მხარეთა მორიგება დისპოზიციურობის პრინციპის ერთ-ერთი გამოვლინებაა. მხარეები უფლებამოსილნი არიან თავად განსაზღვრონ აღსასრულებელი აქტით (განჩინებით) დამტკიცებული შეთანხმების პირობები და მორიგების გზით დაასრულონ დავა.¹⁰

ბ) სარჩელზე უარი - როგორც სარჩელის სასამართლოსათვის მიმართვის უფლებაა დისპოზიციურობის გამოვლინება, ასევე სარჩელზე უარიც მოსარჩელის დისპოზიციური უფლებაა, რაც იმას ნიშნავს, რომ მხარეს (მოსარჩელეს) ნებისმიერ დროს აქვს უფლება, უარი თქვას თავის სასარჩელო მოთხოვნაზე. მხარე უფლებამოსილია, უარი თქვას, როგორც მთლიან სასარჩელო მოთხოვნაზე, ისე მის ნაწილზე.¹¹ თუმცა, ნიშანდობლივია, რომ სასამართლომ მოსარჩელისათვის იმ სამართლებრივი შედეგების განმარტება უნდა უზრუნველყოს, რომელიც სარჩელზე უარს სდევს თან. ამასთან, სასამართლომ უნდა დაადგინოს მხარის ნამდვილი ნება, თუ რას ითხოვს იგი და რა სამართლებრივ შედეგს უკავშირებს იგი თავისი პროცესუალური უფლების რეალიზებას.¹²

⁷ ღვამიჩავა თ., 2017, საკასაციო საჩივრის დასაშვებობა ადმინისტრაციულ პროცესში, გვ. 49.

⁸ ჰაგენლოხ უ., 2020, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარები რჩეული მუხლები, გვ. 15-16.

⁹ იქვე, გვ. 20.

¹⁰ გოგიშვილი მ., სულხანიშვილი მ., მესხიშვილი ქ., 2010, ურთიერთობები სასამართლო სხდომის დარბაზში.

¹¹ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 02.03.2012 განჩინება, საქმეზე №ას-47-45- 2012.

¹² საქართველოს უზენაესი სასამართლოს 24.02.2011წ. განჩინება, საქმეზე №ას-1368- 1206-2010.

გ) სარჩელის ცნობა - დისპოზიციურობა, როგორც ნების ავტონომიის საპროცესო გამოხატულება, გულისხმობს პირის უფლებას, თავად გადაწყვიტოს დაიცვას, თუ არა სასამართლო წესით თავისი უფლება, თავად განსაზღვროს, დავის საგანი და დაასახელოს დავაზე პასუხისმგებელი სუბიექტი. მოსარჩელეს შეუძლია ასევე უარი თქვას სარჩელზე. საგულისხმოა, რომ ჩამოთვლილ უფლებათა უმეტესი ნაწილი მოსარჩელისკენაა მიმართული, თუმცა, პირთა თანასწორობაზე დამყარებული სამოქალაქო საპროცესო სამართალი ანალოგიურ პირობებს უქმნის მოპასუხეს და ადგენს მის უფლებას, შეთანხმების შემთხვევაში, დავა მორიგებით დაასრულოს, მას ასევე შეუძლია ცნოს სარჩელი.¹³

დ) სარჩელის გამოხმობა - მართალია, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლში სარჩელის გამოხმობის უფლება ცალკე სახელდებით მოცემული არ არის, თუმცა, სარჩელის გამოხმობის უფლებაც დისპოზიციურობის პრინციპის გამოვლინებაა, რა დროსაც, მოსარჩელე მის მიერ ინიცირებულ სასარჩელო წარმოებაზე უარს ამბობს, თუმცა, აღნიშნული უარი დროებითი ხასიათისაა და მოსარჩელეს იმავე დავაზე იმავე საფუძვლითა და იმავე მხარის მიმართ სარჩელის ხელახლა აღძვრის უფლებას უტოვებს.¹⁴ სწორედ სარჩელის გამოხმობის პროცესულურ არსს გამოხატავს ის სამართლებრივი შედეგი, რაც სარჩელის გამოხმობას სდევს თან, კერძოდ, სარჩელის გამოხმობის შედეგად სარჩელი განუხილველად რჩება, რაც მხარეს იმავე სარჩელით სასამართლოსათვის კვლავ მიმართვის უფლებას უტოვებს, რაც არსებითად განსხვავდება, სარჩელზე უარის თქმის საპროცესო-სამართლებრივი ინსტიტუტისაგან, რომლის მიხედვითაც, სარჩელზე უარის თქმის შედეგად სარჩელზე წარმოება წყდება. ასეთ შემთხვევაში, დავა იმავე მხარეებს შორის იმავე საგანზე და იმავე საფუძვლით დაუშვებელია.¹⁵

5. შეჯიბრებითობის პრინციპი, სამოქალაქო პროცესში

შეჯიბრებითობას, ამ უძველეს პრინციპს ჯერ კიდევ რომაელები იყენებდნენ, რომელსაც უწოდებდნენ „*audiatur et altera pars*“, რაც ნიშნავს პროცესის მონაწილე მხარეების თანასწორობა.¹⁶ განსხვავება შეჯიბრებითობისა და სამძებრო პრინციპებს შორის სათავეს იღებს ჩვენი წელთაღრიცხვის მე-12 საუკუნის ევროპის სამართლიდან. მაგალითად, შეჯიბრებითობის პრინციპის გამოვლინებად არის მიჩნეული ის, რომ პროცესი შეიძლებოდა ინიცირებული ყოფილიყო, მხოლოდ კერძო პირის სარჩელის წარდგინებით. ეს იმ დროს, როდესაც ინკვიზიციური წარმოება შეიძლებოდა დაწყებულიყო სასამართლო სისტემის მიერ ე.წ. „*ex officio*“ იგივე „პროცესი ინკვიზიციურად“. ამ ცნებების მნიშვნელობა შეიცვალა უფრო გვიანდელ-შუასაუკუნეების ევროპაში და ახლანდელი მდგომარეობით მასში ასახულია სხვა განმასხვავებელი ნიშნები, რომლებიც ძველ ორ ძირითად პროცედურებს მაინც

¹³ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 08.04.2015წ. განჩინება, საქმეზე №ას-64- 58-2015.

¹⁴ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 22.06.2018 განჩინება, საქმეზე საქმე №ას431-431-2018.

¹⁵ მესხიშვილი ქ., 2020, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარები რჩეული მუხლები.

¹⁶ Kola Tafaj f., Fokshi, 2018 “Civil Procedure” part 1, edition 2, p. 32.

ითვალისწინებს.¹⁷ კონკრეტულად ეს განსხვავებები გახდა მთავარი განმსაზღვრელი ფაქტების დადგენის ეტაპზე სასამართლო პროცესში.

6. შეჯიბრებითობისა და სამძებრო პრინციპების თანაფარდობა

საქართველოში ბოლო დრომდე, უფრო ზუსტად საქართველოს ახალი სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მიღებამდე საქართველოს სამართალწარმოებაში გაბატონებული იყო სამძებრო (ინკვიზიციური) პრინციპი. ამ პრინციპზე იყო აგებული საქართველოს 1922 წლის სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, საქართველოს 1932 წლის სამოქალაქო საპროცესო კოდექსი და 1964 წლის სსრ სამოქალაქო საპროცესო კოდექსი. სამძებრო პრინციპს უპირისპირდება შეჯიბრებითობის პრინციპი. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკისთვის რთული არ ყოფილა არჩევანის გაკეთება, როდესაც საქმე მიდგა ახალი დამოუკიდებელი სახელმწიფოს - საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მიღებაზე, თუ როგორ სამოქალაქო საპროცესო პრინციპებზე იქნებოდა აგებული ქართული სამოქალაქო პროცესი. საქართველოს ჰქონდა არასასამართლო გამოცდილება ზემოთ ნახსენები სსრ საპროცესო კოდექსებიდან გამომდინარე. ქართველი მეცნიერებისთვის უკვე ცნობილი იყო ის გამოკვეთილი უარყოფითი ტენდენციები, რომელთა შორის შეიძლება დავასახელოთ ა) ძალიან შესუსტდა მხარეთა აქტივობა, მხარეები დიდად აღარ ზრუნავდნენ იმ ფაქტების სრულად და ამომწურავად მითითებაზე, რომლებიც ასაბუთებენ მათ მოთხოვნებსა და შესაგებელს (სულ ერთი იყო, ამ ფაქტების ზუსტი და სრული განსაზღვრა სასამართლოს ევალებოდა). ისინი არ იჩენდნენ აქტიურობას მტკიცებულებათა მოძიებასა და სასამართლოსათვის წარდგენაზე (ამას სასამართლო გააკეთებდა); ბ) საქმის განხილვის უზომოდ გაჭიანურება, რადგან სასამართლო ვერ უმკლავდებოდა მისთვის უკიდურესად მძიმე მოვალეობის შესრულებას მოემია, გამოეთხოვა და შეემოწმებინა მტკიცებულებები; გ) სასამართლო გადაწყვეტილებათა ხშირი გაუქმება ზემდგომი ინსტანციის სასამართლოების მიერ იმ მოტივით, რომ სასამართლომ ვერ დაადგინა საქმეზე ობიექტური ჭეშმარიტება.¹⁸ საინტერესოა XIX-XX საუკუნის გამოჩენილი პროცესუალისტის ვასკოვსკის მოსაზრება „შეჯიბრებითობის პრინციპი სასარგებლო და მიზანშეწონილი მხოლოდ იმ პირობით შეიძლება იყოს, თუ ორივე მოდავე მხარე თანასწორია, ორივე ერთნაირად მცოდნე და მცოდნე მოწინააღმდეგეა. ამ შემთხვევაში, სასამართლოს ისლა დარჩენია, უსიტყვოდ ადევნოს თვალი მათ ორთაბრძოლას და მიუკერძოებლად გადაწყვიტოს, თუ მათგან ვინ გაიმარჯვა. მაგრამ თუ მხარეები თანაბარი შესაძლებლობების მქონე მოწინააღმდეგეები არ არიან, თუ, მაგალითად, ერთ მხარეს წარმოადგენს განათლებული, ხოლო მეორეს - უმეცარი ადამიანი, ან თუ ერთ-ერთ მოდავე მხარეს ეხმარება ადვოკატი, ხოლო მეორეს თვითონ უწევს საკუთარი საქმის წარმოება, რომელსაც არ აქვს გამოცდილება ან პროცესზე პირველად არის გასული, მაშინ შეჯიბრებითობის პრინციპი იქნება მხოლოდ ძლიერის ზეიმი სუსტზე, მდიდრისა, რომელსაც შესაძლებლობა აქვს

¹⁷ Glaser, E., Shleifer, A. (2001). Legal Origins. Cambridge, p. 99.

¹⁸ ლილუაშვილი თ., 1977, სამოქალაქო საპროცესო სამართლის საკითხები, გვ. 104-110.

დაიქირავოს კარგი ადვოკატი. ეს კი ეწინააღმდეგება სამართლიანობას.¹⁹ გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლო თანაბარი შესაძლებლობების პრინციპის ფუნქციას შემდეგნაირად აჯამებს: თანაბარი საპროცესო შესაძლებლობების პრინციპი სამოქალაქო პროცესში სამართლებრივი სახელმწიფოებრიობისა და, ზოგადად, თანასწორობის გამოხატულებაა და კონსტიტუციურ-სამართლებრივად უზრუნველყოფს მხარეების საპროცესო სტატუსის თანასწორობას მოსამართლის წინაშე. ასევე, მოსამართლემ, კონსტიტუციურ-სამართლებრივად უნდა უზრუნველყოს სასამართლო მოსმენის გარანტიის კუთხით პროცესის მხარეებისათვის, საპროცესო სამართლის ფარგლებში, თანაბარი შესაძლებლობა, მიუთითონ ყველა იმ გარემოებაზე, რომელიც არსებითია სასამართლო გადაწყვეტილებისთვის და დამოუკიდებლად განახორციელონ შესაგებლები მოწინააღმდეგის მოთხოვნის უფლებების წინააღმდეგ. ამ მიდგომასთან თანხვედრაშია მოსამართლის ვალდებულებაც, მხარეთა ეს თანასწორობა დაიცვას ორივე მხარის მიმართ ობიექტური, სამართლიანი საქმისწარმოებით, მხარეთა ორმხრივი ახსნა-განმარტებების დამუშავებისა და შეფასების მიუკერძოებელი მზადყოფნით, კანონის მიუკერძოებელი გამოყენებითა და სხვა საპროცესო უფლებამოსილებების სწორად შესრულებით აქედან გამომდინარე, საჭიროა მოსამართლის წინაშე მხარეთა საპროცესო სტატუსის თანასწორობა და საკუთარი უფლებების განხორციელების თანაბარი შესაძლებლობების მინიჭება მათთვის.²⁰ შეჯიბრებითობის პრინციპის მკაფიო და ძირეული გაგების მიზნით, მნიშვნელოვანია დადგინდეს მისი კავშირი და ურთიერთმიმართება დისპოზიციურობის პრინციპთან. დოქტრინაში დამკვიდრებული შეხედულების მიხედვით, კერძო-სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილეს აქვს სრული თავისუფლება, საკუთარი შეხედულებისა და სურვილისამებრ კანონმდებლობით მინიჭებულ ფარგლებში განკარგოს თავისი კერძოსამართლებრივი სიკეთე. ამ უფლებამოსილების განხორციელება სამოქალაქო პროცესში სწორედ შეჯიბრებითობის პრინციპით გამოიხატება, რაც შეეხება „დისპოზიციურობის პრინციპის უზენაესობას, ეს არის სამოქალაქო საქმეზე მოსამართლისათვის მხარეთა ავტონომიურობაში შეჭრის აკრძალვა, რაც, ამავე დროს, მოიცავს მოდავე მხარეებზე პასუხისმგებლობის ტვირთის მნიშვნელოვნად გადატანას.²¹

7. შეჯიბრებითობის პრინციპიდან კანონმდებლობით გათვალისწინებული გამონაკლისი შემთხვევა

ქართულ სამოქალაქო საპროცესო სამართალში საოჯახო საქმეთა განხილვის ინსტიტუტი განსხვავებულად რეგულირდება და უფლების დაცვის სხვა სასარჩელო ფორმებით გამოირჩევა. საოჯახო-სამართლებრივი დავები განსაკუთრებული სენსიტიური ხასიათის მატარებელია. დავების განხილვისას მოსამართლეები დიდი სიფრთხილით ცდილობენ

¹⁹ Треушников М., 1996, Хрестоматия по гражданскому процессу, с. 71-72.

²⁰ Beschluss vom 30.09.2018 - 1 BvR 1783/17 - NJW 2018, 3631.

²¹ Schneider, 1888, Über richterliche Ermittlung und Feststellun des Sachverhalts im Civilprozess, S.18.

მიიღონ ობიექტური, სწორი და სამართლიანი გადაწყვეტილება. მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ბავშვის ინტერესებს და მის უფლებას. ინკვიზიციური სამართალწარმოების ნიშნები სწორედ ასეთი ტიპის დავებში გვხვდება. რადგან მოსამართლე ყველა გზას მიმართავს მიიღოს ოპტიმალური გადაწყვეტილება, რომელშიც გათვალისწინებული იქნება ბავშვისა და ოჯახის ინტერესები. სამძებრო პრინციპი საოჯახო საქმეების განხილვის დროს უფრო ფართოდ გამოიყენება ვიდრეს, სხვა ტიპის დავებში. სსსკ-ის მე-4 მუხლის მე-2 ნაწილისა და 354-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, მოსამართლეს ენიჭება ფართო უფლებამოსილება. არ დაკომპოზიცილდეს მხარეთა მიერ წარმოდგენილ მტკიცებულებებს, თავისი ინიციატივით განსაზღვროს მტკიცების საგანი, რათა მოხდეს საქმეზე ობიექტური შედეგის მიღება. ამდენად, 354-ე მუხლი სპეციალური ნორმაა და მას უპირატესი ძალა ენიჭება 103-ე მუხლით გათვალისწინებულ ზოგად ნორმასთან მიმართებაში. ამდენად, ბავშვის ინტერესებიდან გამომდინარე, განქორწინებისა და ალიმენტის გადახდევინების საქმეებზე, სასამართლომ თავისი შეხედულებისამებრ უნდა დაადგინოს მონაწილეობს თუ არა მოპასუხე შვილების რჩენაში. იმ შემთხვევაში თუ მოპასუხე არ ასრულებს ამ ვალდებულებას, 355-ე მუხლის შესაბამისად, სასამართლო მიიღებს გადაწყვეტილებას მიიღოს დროებითი განკარგულების სახით.²²

8. სასამართლოს ინკვიზიციურ უფლებათა ფარგლები

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი ადგენს, რომ საქმის გარემოებათა გასარკვევად სასამართლოს შეუძლია თავისი ინიციატივით მიმართოს ამ კოდექსში გათვალისწინებულ ღონისძიებებს. ნიშანდობლივია აღინიშნოს, რომ სასამართლო პრაქტიკა აღნიშნული ნორმის ფართო განმარტებას არ იზიარებს და არ უშვებს სასამართლოს მხრიდან საქმის გარემოებათა გასარკვევად ნებისმიერი იმ საპროცესო ღონისძიების საკუთარი ინიციატივით განხორციელებას, რასაც სამოქალაქო საპროცესო კოდექსი ითვალისწინებს. მაგალითისათვის, მხარე უფლებამოსილი არ არის საკუთარი ინიციატივით მოწმე დაკითხოს, საქმეზე დასართავ მტკიცებულებათა წრე განსაზღვროს, სხვა უწყებაში არსებული წერილობითი დოკუმენტი გამოითხოვოს, აღსრულების ბიუროს ფაქტის კონსტატაცია მოსთხოვოს და ა. შ. მითითებული ნორმით მოსამართლეს, მართლოდენ იმ საპროცესო ღონისძიებათა გატარების შესაძლებლობა ეძლევა, რისი უფლებაც მას, კანონის დანაწესის მიხედვით, საკუთარი ინიციატივით აქვს. მიუხედავად იმისა, პროცესი სრულად შეჯიბრებითი იქნება, თუ ინკვიზიციური, არსებითი მნიშვნელობა მაინც ორ მნიშვნელოვან ფაქტორს ენიჭება, კერძოდ, მხარეთა თანასწორობის დაცვასა და მოსამართლის კომპეტენტურობას. ძველ რომაულ სამართალში გაბატონებული პრინციპი - *Lex uno ore omnes*

²² გაგუა ი., 2013, მტკიცების ტვირთი სამოქალაქო საპროცესო სამართალში, გვ. 159.

alloquitur („კანონი ყველას ერთნაირად ელაპარაკება“) - ასახვას ჰპოვებს თანამედროვე სამართლებრივ სისტემებში მხარეთა თანასწორუფლებიანობის არსებობაში.²³

9. კანონის წინაშე თანასწორობის პრინციპი სამოქალაქო პროცესში

კანონის წინაშე თანასწორობის პრინციპის, ამ უმნიშვნელოვანესი ცნების სიღრმეებს და აუცილებლობას ჩასწვდნენ ჯერ კიდევ რომის სამართლის განმანათლებლები. მართლაც, ცივილიზაციის ისტორიაში რომის სამართალს ისეთივე მნიშვნელობა შეიძლება მივანიჭოთ, როგორც ცეცხლის გამოგონებასა და გამოყენებას ადამიანთა მიერ. რომის სამართალი მანამდე დარჩება კაცობრიობის ცივილიზაციაში ფუნდამენტურ განმად, ვიდრე იარსებებს თვით კაცობრიობა. არსებობს გამონათქვამი, რომლის მიხედვითაც რომმა სამჯერ დაიპყრო მსოფლიო: პირველად, თავისი ლეგიონებით, მეორედ - ქრისტიანობის მიღებით და მესამედ - როცა მოხდა რომის სამართლის რეცეფცია ფეოდალური ევროპის მიერ. საიდანაც მრავალმა ცივილიზებულმა სახელმწიფომ საფუძვლად დაუდო რეცეფცირებული რომის სამართალი თავისი ქვეყნების სამოქალაქო კანონმდებლობას.²⁴ დღეს რთულია იმის წარმოდგენა, თუ რამდენად დიდ წინგადადგმულ ნაბიჯს წარმოადგენდა ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის მიღება. მეორე მსოფლიო ომის შემდგომ, როცა მსოფლიო ომის მომხდარი შიშით იყო შეპყრობილი, დაყოფილი იყო კოლონიალიზმისა და გამეფებული საყოველთაო უთანასწორობის გამო, პირველი გლობალური მასშტაბის საყოველთაო დეკლარაციის მიღება, რომელიც აღიარებდა ყველა ადამიანის თანდაყოლილ ღირსებასა და თანასწორობას, განურჩევლად კანის ფერისა, მრწამსისა თუ წარმოშობისა - წარმოადგენდა უდაოდ გაბედულ წამოწყებას, რომლის წარმატება იმ დროში სერიოზული კითხვის ნიშნის ქვეშ იდგა. უნდა აღინიშნოს, რომ ანალოგიური მნიშვნელობით არის თანასწორობის პრინციპი მოცემული ადმინისტრაციულ სამართალშიც. შეჯიბრებითობის პრინციპის პარალელურად უნდა განვსაზღვროთ მხარეთა კანონის წინაშე თანასწორობის პრინციპები. თანასწორობა გულისხმობს ადმინისტრაციული პროცესის მსვლელობისას მოსარჩელისა და მოპასუხის თანასწორუფლებიანობას. როგორც ვიცით ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ურთიერთობები უმეტესწილად ორ არათანაბარ საფეხურზე მდგომ სუბიექტებს შორის მიმდინარეობს. ადმინისტრაციული სამართლებრივი ურთიერთობებისათვის დამახასიათებელია სუბორდინაციულობა. თუმცა ადმინისტრაციული საქმის განხილვისას ორი არათანაბარ საფეხურზე მდგომი სუბიექტი - ადმინისტრაციული ორგანო და მოქალაქე - თანასწორუფლებიანია.²⁵

²³ დეკანოსიძე რ., 2017, შეჯიბრებითობის პრინციპი და მისი შეზღუდვის შემთხვევები ქართულ სამოქალაქო საპროცესო სამართალში, გვ. 130.

²⁴ იუსტინიანეს დიგესტები 2000, „რომის სამართლის ძეგლები“, გვ. 5-7.

²⁵ კოპალეიშვილი მ., სხირტლამე ნ., ქარდავა ე., ტურავა პ., 2016, ადმინისტრაციული საპროცესო სამართლის სახელმძღვანელო, გვ. 24.

10. კონტინენტურ-ევროპული და ანგლო-ამერიკული სამართალწარმოება

კონტინენტური ევროპის სამართლის სისტემის ჩამოყალიბებასა და განხვითარებაში დიდი გავლენა იუსტინიანე I-ის corpus Juris Civilis-მა. იქონია. სამართლებრივ დავებში სასამართლო აქტიურ მოთამაშედ გვევლინება. მოსამართლე პროცესს სარჩელის შეტანიდან წარმართავს. ანგლო-ამერიკული სამართლის პროცესისგან განსხვავებით, მოსამართლე იღებს გადაწყვეტილებას მოწმეთა დაბარების და თავადვე განსაზღვრავს პრიორიტეტებს. მხარეები მონწილეობენ საქმის ვითარებას დადგენაში, რის საფუძველზეც სასამართლომ უნდა მიიღოს გადაწყვეტილება. სასამართლო საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში იღებს გადაწყვეტილებას საკითხების დადგენა-დაზუსტებაში. მოსამართლემ სამართლებრივ მითითებას აძლევს გამორჩენილი და წინასწარი წერილობითი განხილვისას დამუშავებული ფაქტების შესახებ (ბოელინგი 3. სამოქალაქო საქმეზე გადაწყვეტილების მიღების მეთოდიკა, მოსამართლეთა სემინარი. კონტინენტურ ევროპასა და ანგლო-ამერიკული სამართლის ოჯახებს შორის დიდი და სტრუქტურული განსხვავებაა. მნიშვნელოვან განსხვავებას იურიდიული და მეთოდოლოგიური განსხვავება წარმოადგენს. რომის სამართლის გავლენა დიდია კონტინენტური ევროპის სამართალზე, რაშიც დიდი წვლილი არაერთ სამართალშემოქმედს მიუძღვის.²⁶

დასკვნა

საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებული და დაცული დისპოზიციურობის შეჯიბრებითობის და მხარეთა თანასწორობის პრინციპების მიუხედავად, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა შეიცავს ე.წ. ინკვიზიციური სამართალწარმოების ნიშნებსაც. ასევე მოიაზრებს მოსამართლის ინიციატივის შესაძლებლობასაც. ქართულ მართლმსაჯულებაში მეტწილად ეს გერმანული საპროცესო კანონმდებლობის გავლენითაა განპირობებული. პროცესი დაყრდნობილი უნდა იყოს შეჯიბრებითობის პრინციპზე, თუმცა, სასამართლოს როლი იმ ფარგლებით უნდა განისაზღვროს რომ არ დაირღვეს დისპოზიციურობის პრინციპი. საკითხი, უნდა გადაწყდეს შეჯიბრებითობისა, მხარეთა თანასწორობის და სასამართლოს აქტიურობის პრინციპებს შორის ზომიერი ბალანსის დაცვით. სწორედ ეს ბალანსი უზრუნველყოფს მხარეების უფლებების სასამართლოს უფლებამოსილების ფარგლების განსაზღვრას. „სასამართლოს ექნება ნეიტრალური და ნომინალური როლი საქმის გარემოებების გამოკვლევაში.²⁷ მიზანშეწონილი იქნება მართლმსაჯულების ხარისხის გაუმჯობესებისათვის, მოწინავე ადგილი ეკავოს პრაქტიკას და არა მხოლოდ კანონებს, ანუ კანონები ამ მხრივ პრაქტიკის დახვეწა, რომელიც თავის მხრივ სხვა უკვე გამოცდილი სამართლის რეცეფციასაც გულისხმობს. პრინციპებით ხელმძღვანელობა, მართებული პრაქტიკა და ამ კანონების სწორი გამოყენება საძირკველია იმ მართებული სამართლებრივი საზოგადოების, რომელში ყოფნაც ყველა

²⁶ ციპელიუსი, რ., 2009, იურიდიული მეთოდების მოძღვრება, გვ. 11.

²⁷ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 09 ივნისის განჩინება საქმეზე №28/550-14.

სამართალშემოქმედისთვის მნიშვნელოვან მიზანს წარმოადგენს. „მნიშვნელოვან აუცილებლობას წარმოადგენს კანონმდებლობის სიხადე, სიმარტივე და სამართლებრივ რეალობაში ადვილად მისადაგება. კომუნიკაციის საფრთხეების თავიდან აცილების მიზნით, გერმანიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 278-ე პარაგრაფის მე-5 აბზაცის ფორმულირება, ქართულ კანონმდებლობაში გადატანა - ამის წინაპირობას წარმოადგენს. კერძოდ, წარუმატებელი მორიგების შემთხვევაში, მიკერძოებულობისა და არაობიექტურობის ფაქტორით ხანგრძლივ მორიგებებს განიხილავს სპეციალური მოსამართლე, რომელიც სხვა სამართლებრივი დავების განხილვაში არ მონაწილეობს. ნაშრომში საუბარია, როგორც ანგლო-ამერიკული სისტემის, კონტინენტური, ისე ქართულ სამართლებრივ სისტემებზე. ამერიკული და ევროპული გამოცდილებით, სასამართლოს უნდა გააჩნდეს მექანიზმები, რომელიც საშუალებას მისცემს საქმეზე განახორციელოს აქტიური კონტროლი სასამართლოს მიერ მხარეებზე კონტროლის დაკარგვა აუცილებლად იწვევს პროცესის ინერტულობას.²⁸

²⁸ABA Standards Related to Court Delay Reduction, 2010, p. 71.